ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #11

დაბა ხარაგაული **27 აგვისტო 2018 წელი**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, პავლე კიკალიშვილი, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე.

სულ 24 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

თამარ მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მანანა ბაბლიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და შესთავაზა წინადადება კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებისათვის.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე 24,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N 42 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

მოისმინეს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმავია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N 42 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2018 წლის წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვარლამ ჭიპაშვილმა - რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მხრიდან დაფინანსება კარგია, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერიამ სწორად უნდა შეარჩიოს განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტები. ასევე მერიის მხრიდან პრობლემებია თანხების ათვისებაზე და ამ მხრივ საჭირო პროცედურების გატარებაზე. მისივე თქმით პრიორიტეტების განსაზღვრისას უნდა გამოირიცხოს პერსონალური მიდგომები და საჭიროა საკრებულოსთან მეტი თანამშრომლობა და კონსულტაციები.

ინგა მაღრაძემ - რომელმაც განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს მთავრობის მხრიდან დაფინანსებას, მაგრამ საჭიროა აღმასრულებელმა ორგანომ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს საკრებულოსთან და პატივი სცეს საკრებულოს გადაწყვეტილებებს.

ლენა აბაშიძემ - რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებიდან ამ ეტაპზე რატომ არ იგეგმება სოფელ ვერტყვიჭალაში საბავშვო ბაღის მშენებლობა და რატომ არ არის პრიორიტეტი ვერტყვიჭალაში ბაღის აშენება.

ჯამბულ გამცემლიძემ - რომელმაც განაცხადა, რომ მერიამ უნდა გაიგოს იმის შესახებ, რომ პრიორიტეტებს განსაზღვრავს საკრებულო და არა მერია, აქ ხდება საკრებულოს წევრთა იგნორირება.

დავით კიკნაძემ - რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ საღანძილეში 2012 წლიდან დღემდე არც ერთი დიდი და არც პატარა პროექტი არ განხორციელებულა. პრიორიტეტებს ადგენს მოსახლეობა და ჩვენ უნდა შევასრულოთ მათი სურვილები. საჭიროა თანხები თანაბრად განაწილდეს ყველა სოფელში.

მალხაზ ფხალაძემ - რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მხრიდან დაფინანსება კარგია, მაგრამ თუ ვერ ავითვისეთ დროზე ეს თანხები ასე არ ივარგებს. სოფლებში დაწყებული პროექტები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რაც მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. კარგი იქნება თუ მომავალში პრიორიტეტების განსაზღვრა მოხდება საკრებულოსთან თანამშრომლობით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხზე და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე- 23

წინააღმდეგი- 0

საკრებულოს ერთმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავი შეიკავა.

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებულ იქნას (თან ერთვის).

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**